A Literary Model of the Broken Gender Lens

„გენდერული ლინზების“ მსხვრევის ლიტერატურული მოდელი

Zeinab Kikvidze
Akaki Tseretely State University
(Georgia)

ზეინაბ კიკვიძე
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(საქართველო)

Abstract:

The broken gender lens, based on androcentrism, gendered polarization and biological essentialism, are considered one of the most significant challenges for today's world. Views about powerfulness of men and insignificance of women as a second sex have been entrenched in social institutions of various countries, ethno-cultural ways of life, and human minds since ancient times when monotheism took prevalence over polytheism.

The equality of male and female deities in pagan beliefs stayed in the past. Judaism, Christianity, and Islam made radical changes in views about men's and women's roles. A man is regarded as God's favorite human who is above everyone, while a women is viewed as his subordinate whose function are confined to in-door activities and reproduction. Based on the aforementioned, humankind's history is men's history.

There are compositions whose authors try to break gender lens of their societies. The bestsellers such as The Eighth Life by Nino Haratischwili, The Nightingale by Kristin Hannah, A Thousand Splendid Suns by Khaled Hossein.

The main characters of these novels are women who live their lives in rather complicated times of their respective countries. Totalitarian regimes, wars, depreciation of moral and values exacerbates women's predicament and sexual oppression. However, it is such political, social, economic, and ethic pressures that make them belligerent individuals who are able to oppose cruelty and even to arm themselves, to commit murder, to use their charm for the sake of a very difficult mission. In the world of masculine opinions they maintain their femininity and do not turn into so called manly women.

Positions of the authors of the three novels are focused into a single idea: history is written by both men and women. The gender lens are broken and there comes a new reality of equal rights.

Keywords: Gender lens, Androcentrism, Biological essentialism

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად სამართლიანად მიიჩნევენ ე.წ. „გენდერული ლინზების“ მსხვრევას. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა სანდრა ლიპსიც ბემმა, რომლითაც ფაქტობრივად სრულყოფილად წარმოადგინა საზოგადოების დამოკიდებულება გენდერული განსხვავებულობის შესახებ. წინამდებარე სტატიაში კომპარატივისტული მეთოდის საფუძველზე განხილულია ე.წ. „გენდერული ლინზების“ ჩამოყალიბების თეოლოგიური საწყისები, განხილულია გენდერული განსხვავების ძირითადი მახასიათებლები; ერთმანეთთან შედარებულია სხვადასხვა კულტურული არეალის მწერალთა თხზულებები, რომელთა თემატიკა გენდერულ საკითხებს ეფუძნება.

სანდრა ლიპსიც ბემის აზრით, სოციალურ ინსტიტუციებში, კულტურებსა და პიროვნებათა ფსიქიკაში ჩანერგილი დამოკიდებულებები ფარულ ლინზებს განასახიერებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქალისა და მამაკაცის არათანაფარდობით გადანაწილებას.

გენდერული ლინზები სამი ასპექტით განიხილება, – ესაა ანდროცენტრიზმი, გენდერული პოლარიზაცია და ბიოლოგიური ესენციალიზმი (ბემი, 2013, გვ. 76).

ანდროცენტრიზმის მიხედვით, კაცობრიობას განასახიერებს მამაკაცი. ქალი მისი ერთგვარი დამატებაა, მამაკაცზე დაქვემდებარებული დამხმარეა და ეს ნორმადაა მიჩნეული.

გენდერული პოლარიზაციის მიხედვით, ადამიანის დაყოფა სქესობრივი ნიშნით ქმნის ბინარულ ოპოზიციას, რაც თავისთავად მოიაზრებს სქესთა თვისებების რადიკალურად ურთიერთსაპირისპიროდ წარმოჩენას.

ბიოლოგიური ესენციალიზმი კი სექსუალობის კატეგორიებს მიიჩნევს, როგორც ბუნებრივს, თანდაყოლილს, როგორც მაგალითად, ფემინურობა და მასკულინურობა განსაზღვრულია ბიოლოგიურად თანდაყოლილი მახასიათებლებით, ზუსტად რომ ვთქვათ, მხოლოდ ჰორმონალური განსხვავებით და არა აღზრდისა და ქცევის დადგენილი წესებით.

მამაკაცთა ძალაუფლებისა და ქალის, როგორც მეორეული არსების, უმნიშვნელობის შესახებ შეხედულებას საფუძველი უძველესი პერიოდიდანვე უნდა ჩაყროდა, როდესაც პოლითეისტური წარმოდგენები მონოთეიზმმა შეცვალა. რელიგიურმა ფაქტორებმა ძალიან დიდი როლი შეასრულეს სოციუმის აზრობრივ ფორმირებაში. თავის მხრივ რწმენითი დამოკიდებულებები ირეკლავდა საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, პოზიციებსა და კანონებსაც კი.

წარმართული პერიოდის რწმენის მიხედვით მდედრი და მამარი ღვთაებების უფლებები და ფუნქციები თანაბრად მიაჩნდათ. ადამიანთა საქმიანობის ისეთი სფეროები, რომლებიც შემდგომი პერიოდის საზოგადოებაში როლურად გაიყო სადედაკაცო და სამამაკაცო საქმედ, პოლითეისტურ ხანაში არ განირჩოდა ერთმანეთისაგან. ეს შესაძლოა, ყველა უძველესი ერის მითოსურ აზროვნებაში ამოვიკითხოთ.

მაგალითად, ადამიანთა საქმიანობის ისეთ სფეროს, როგორიცაა ნადირობა, რომელიც უმეტესად მიჩნეული იყო სამამაკაცო საქმედ, სხვადასხვა ხალხის მითოსში განაგებდნენ ორივე სქესის ღვთაებები. მათი ძალაუფლება და ფუნქციები არ იყო დანაწილებული.

უძველეს კრეაციონულ მითებში სამყაროს შექმნაში მამრი და მდედრი ღვთაებები თანაბრად მონაწილეობენ; ეგვიპტურ მითოლოგიაში არსებობს შესაქმის სხვადასხვაგვარი ვერსია, ერთ-ერთი მათგანის მიხედით, ღვთაებები ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და არა ერთმანეთთან შერწყმის შედეგად ქმნიან სამყაროს (Мифы Народов Мира, 1991, გვ. 471). შუმერულ წრმოდგენებშიც არის გენდერული თანაფარდობის მოდელი, როცა სახლის ნიშანში, რომელიც აღიარებულია როგორც ღვთაების შობის ადგილი, სუფევს მდედრი, როგორც დიასახლისი, რომელმაც არ უწყის თავის გვერდით მამრი (კიკნაძე, 2020, გვ. 34). ანუ ეგვიპტურის მსგავსად აქ შესაქმე ხორციელდება ერთი ღვთაების მიერ, მეორეს გარეშე და ეს ღვთაება არის დედაღვთაება.

კიდევ ერთი მაგალითი ქართული ეთნო-მითოსური შეხედულებიდან, – მითოსური დანაშთის მიხედვით, ქართულ მსოფლაღქმაში

მზის ღვთაება განასახიერებდა მდედრულ და მამრულ საწყისებს. აღსანიშნავია, რომ ღვთისმსახურებას ქალური ჰიპოსტასის ტაძრებში ქალი ქურუმები უძღვებოდნენ და საკურთხეველში შესვლის უფლება არ ჰქონდათ მამაკაცებს. შუმერული მითოსის თანახმად კი, ორი წყლური სტიქია (მტკნარი და მლაშე), აბზუ და თიამათი, წარმოშობენ მარდუქს.

პოლითეიზმშივე ჩანასახის სახით კოდირებულია გენდერული თანაფარდობის რღვევა, როცა მარდუქი თრგუნავს პირველმშობლებს და ამყარებს ახალ წესრიგს. იწყება ერთი უნივერსალური და უზენაესი ღმერთის მმართველობა და ეს არის მამრი ღმერთი. ასეთი მოდელი იკვეთება თითქმის ყველა მითოსურ წარმოდგენაში: ქართულში მორიგე ღმერთი ქმნის სამყაროს, შუმერულში მარდუქი განასახიერებს ახალი კოსმოსის დასაწყისს, ეგვიპტურში პტაჰი და ხნუმი ქმნიან, ბერძნულში კრონოსია უდიდესი განმგებელი, რომელსაც თრგუნავს ასევე მამრი ღვთაება ზევსი.

წარმართულ წარმოდგენებში არსებული მდედრი და მამარი ღვთაებების თანაბარუფლებიანობაზე დაფუძნებული თანაარსებობა წარსულში რჩება. იუდაისტური, ქრისტიანული და მაჰმადიანური რელიგიები კი კარდინალურად ცვლიან შეხედულებას მამაკაცისა და ქალის როლური ფუნქციების შესახებ.

მამაკაცი აღიარებულია ღვთის რჩეულ უპირველეს ადამიანად, რომელიც აღემატება ყველა არსებას; ის ჩათვლილია უნივერსალურ ქმნილებად, ნიმუშად, მისაბაძად. ხოლო ქალი მოიაზრება ე.წ. მეორეულ არსებად, ერთგვარ დანამატად. ასეთი შეხედულება ქმნის ანდროცენტრული თვალსაზრისის საძირკველს, რომელშიც მამაკაცისა და ქალის დამოკიდებულებების სამი ასპექტია გათვალისწინებული:

1. ქალი ჩათვლილი იყო უნივერსალურ სტანდარტთან შეუსაბამო, არასრულფასოვან არსებად. ეს უნივერსალური სტანდარტი იყო მამაკაცი. როგორც მეტრი, საზომი. ბიბლიის თანახმად, ქალი შექმნილია არა უშუალოდ უფლის ქმედებით, არამედ მამაკაცის სხეულიდან გამოღებული ნეკნის ადამიანად გარდაქმნით.

2. ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებისას, ოჯახური ურთიერთობისას, ქალის როლი განისაზღვრებოდა რეპროდუქციული ფუნქციითა და ოჯახის მოვლით, რომლის უფროსადაც მამაკაცი მიიჩნეოდა.

3. ქალს უნდა აღეძრა და დაეკმაყოფილებინა მამაკაცის სექსუალური მისწრაფება.

რადგან ოჯახის, შესაბამისად თემის, ტომის უფროსად მიჩნეულია მამაკაცი, მის როლურ ფუნქციას განსაზღვრავს გენდერული პოლარიზაცია. მან უნდა დაიცვას და გააფართოვოს თავისი საგანმგებლოს საზღვრები, ანუ გამართოს ბრძოლები, რაც თავისთავად გულისხმობს მასკულინური ბუნების გამოვლენას. იარაღის გამოყენება უკვე სამამაკაცო საქმეა, რომელსაც საზოგადოების მხრივ აქვს ეთიკური მხარდაჭერა, რაც გაფორმებულია კიდეც ენობრივი კონოტაციების სახით.

ადამიანთა შემეცნებაში ვაჟკაცურობაა ბრძოლა, ძალის გამოყენება, მრისხანება, მტრის კვლა, შეუპოვრობა. ეს ყველაფერი მასკულინობის გამომხატველია, რაც ჩათვლილია საამაყო, ღირსეულ საქმედ. ფემინური გაფორმება აქვს საპირისპირო კონოტაციებს, დადედლება, სადიაცო საქმე, რაც არაღირსეულია, პირიქით, დამცრობილი და დაკნინებულია. ამ მოსაზრების დადასტურებას „ვეფხისტყაოსანშიც“ ვაწყდებით, როცა ავთანდილის ანდერძში მამაკაცის ჯაბანობა „ქსლის მბეჭველ დიაცთანაა“ შეფარდებული. ასეთ პოზიციას ამყარებს ბუნებრივი ესენციალიზმიცა და გენდერული პოლარიზაციაც.

ცნობილია, რომ მაჰმადიანურ სამყაროში ქალი მამაკაცის საკუთრებად მოიაზრება. უფრო მეტიც, ის სამოსი, რომელიც გამოიყენება, ასე ვთქვათ ქალის „შესაფუთად“, უცხო თვალისაგან დასამალად (ბურკა, ჰიჯაბი) უმეტესად შავი ფერისაა, რადგან ქალი ჩათვლილია მამაკაცის ჩრდილად. ეს შეხედულება ცოლ-ქმრის სიარულის წესშიც იკვეთება. მიღებულია, რომ მუსლიმი მამაკაცი წინ უნდა მიდიოდეს, ხოლო ქალი უკან უნდა მისდევდეს, როგორც მისი ჩრდილი. *„ყურანი მოწმობს, რომ ჯიჰალიის პერიოდში არსებობდა ახლადდაბადებული გოგონების მიწაში ჩაფვლის პრაქტიკა, ქალებს ყიდდნენ, ჩუქნიდნენ, როგორც მონებს, აგირავებდნენ, სანამ ქმარი ან მამა ვალს არ დაფარავდნენ“* (კიკნაძე, დონაძე 2006, გვ. 54).

იუდეველთა დილის ლოცვაში ხმიანდება გენდერული უთანასწორობის დეტალი. „მადლობა ღმერთო, რომ ქალად არ გამაჩინე“. ქრისტიანობაში კარგა ხანი მსჯელობდნენ, იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ქალს სული, შესაბამისად ითვლებოდა თუ არა იგი ადამიანად. მხოლოდ 585 წელს აღიარეს, რომ ქალს სული ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, კაცობრიობის ისტორია ითვლებოდა მხოლოდ მამაკაცების ისტორიად.

ბუნებრივია, მრავალფუნქციური ნიშნებით განსხვავებული საზოგადოებების „გენდერული ლინზები“, რომლებსაც საკმაოდ დიდი

ხნის ისტორია აქვს, და ამას დამატებული ტრადიციად ქცეული შეხედულებები, ერთი ხელის მოსმით ვერ დაიმსხვრევა.

საუკუნეების განმავლობაში ჩაბეჭდილი დამოკიდებულებები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული, თითქოს ალტერნატივის საშუალებას არ იძლევა. და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღესაც ასე ფიქრობს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მათ შორის თავად ქალებიც, რომლებიც არამხოლოდ მოიაზრებიან „გენდერული ლინზების“ მსხვერპლად, არამედ ხშირად ხელსაც კი უწყობენ ამ ლინზების გამყარებასა და საზოგადოებრივ ხედვებზე მჭიდროდ მორგებას.

სოციუმში არსებული სტერეოტიპების რღვევის, ახალი ხედვებისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ხელოვნებას ყოველთვის ყველაზე მეტი ბერკეტი ჰქონდა. არისტოტელესეული კათარზისი საზოგადოების ეთიკური ნორმების გადააზრებაში დღესაც აქტუალურია. „გენდერული ლინზების“ დამსხვრევის შესაძლებლობას მხოლოდ სამართლებრივ კანონებში ცვლილებების შეტანა ვერ შექმნის, ამისთვის უპირველესად მენტალური ცვლილებებია საჭირო. არა მხოლოდ მწერლობა, არამედ ხელოვნების სხვა დარგებიც, განსაკუთრებით კინოხელოვნება, ამ მარადიულ პრობლემას სხვადასხვა რაკურსით წარუდგენენ საზოგადოებას. მაგალითისთვის ისეთი ფილმების დასახელებაც იკმარებდა, როგორებიცაა „უდაბნოს ყვავილი“ ან „სორაიას ჩაქოლვა“.

როგორც დასავლეთის, ასე აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ნიშნეული კულტურული კოდებით განპირობებული გენდერული დიფერენცირების გამოვლენაზე, მის კრიტიკასა და სტატუს-ქვოს შეცვლის მცდელობებზეა შექმნილი ისეთი ბესტსელერები, როგორებიცაა ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)", ქრისტიან ჰანას „ბულბული“, ჰალიდ ჰოსეინის „ათასი მოელვარე მზე“.

ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლეს“ ძირითადი პერსონაჟები – ჯაშების ოჯახის სხვადასხვა თაობის ქალები არიან. მწერალი მათი ხასიათების წარმოჩენით, ინდივიდუალური თვისებების საფუძველზე, ერთიან ფემინურ პორტრეტს ურთულესი პერიოდის, საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე ქმნის. საგულისხმოა, რომ ქალური შარმი, მოხერხებულობა, სილამაზე, გამჭრიახობა, სიჯიუტე, მომთმენობა, ამტანობა, – ყველა ეს თვისება ერთ პრიზმაშია გატარებული და ეს არის იმ იდეოლოგიასთან დაპირისპირება, რომლითაც ცხოვრობდა მეოცე საუკუნეში დედამიწის ტერიტო-

რიის ერთი მეექვსედი ნაწილის მოსახლეობა. ავტორი საქართველოში მეოცე საუკუნეში მომხდარ ყველა ისტორიულ მოვლენასა თუ პერიოდს თაობათა საგას უკავშირებს. ისინი განასახიერებენ იმ ზოგად მდგომარეობას, რაც გამოიარა და განიცადა ქართველობამ საბჭოთა სისასტიკის სახით. თხზულების პერსონაჟები პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენელთა აღვირახსნილობის, „წითელი“ ტერორის, რეპრესიების, სულიერად განადგურების მსხვერპლი ხდებიან. ნ.ხარატიშვილი ამ ყოველივეს გვიჩვენებს ქალის – დედის, მეუღლის, დის, ბებიის, დეიდის, შვილის პოზიციიდან და ქმნის წარმოდგენას ერთგვარ მეტა-ქალზე, რომელსაც, მიუხედავად მისი ქალური მდგომარეობის დაკნინება-დამარცხებისა, შეუძლია თავისივე რეპროდუქციული უნარი საკუთარ თავზე გამოიყენოს, მარადიულად მოკვდეს და კვლავ დაიბადოს სიცოცხლის გასაახლებლად.

ამ რომანში სხვადასხვა თაობის სხვადასხვა პერსონაჟი, არ აქვს მნიშვნელობა ის ცოცხალია თუ მკვდარი, ერთ უწყვეტ სიცოცხლის ხაზად ერთდება. მიუხედავად იმისა, რომ ხშირია აზრთა სხვადასხვაობა დედასა და შვილს, ან დედმამიშვილებს შორის დაპირისპირებები, ისინი მაინც ერთი იდეით ერთიანდებიან, იცხოვრონ არა მხოლოდ საკუთარი თავისათვის, არამედ ერთმანეთისათვის, ქვეყნისათვის. სხვადასხვა დროს, სხვადასხვაგვრად დაუპირისპირდნენ ბოროტების იმპერიას. მათი ისტორიები მეორდება, ერთმანეთში იხლართება. გასაჭირიცა და დასალხინიც და კიდევ უზარმაზარი ენერგია, რომელიც მათშია, გენეტიკურად გადადის ერთი თაობიდან მეორეში. მათ შესწევთ უნარი, თუნდაც დამარცხებულებმა, მიწაზე დანარცხებულებმა, საკუთარ არსში იპოვონ სიცოცხლის გაგრძელების ძალა და კვლავ ფეხზე წამოდგნენ. სწორედ ამ ენერგიას გადასცემენ მერვე სიცოცხლეს, – ბრილკას, რომელიც სრულიად თავისუფალი უნდა იყოს მწარე და ტკივილიანი წარსულისაგან, შემბოჭავი იდეოლოგიური წნეხისაგან და გააგრძელოს, უფრო სწორად, ახალი ეტაპიდან ახალი სიცოცხლე დაიწყოს.

ასეთივე პათოსითაა დაწერილი ფრანგი მწერლის რომანი „ბულბული“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ორი პარიზელი დის ურთულეს ცხოვრებას ეხება. ამ შემთხვევაშიც ავტორი ოჯახურ ურთიერთობას – დებს შორის გაუცხოებას, გაგულგრილებას და გადარჩენის გზების ძიებას ასახავს. ორი უდიდესი ფაქტორი – დანგრეული ოჯახის სტიგმა და ასევე, დამანგრეველი ომის მიერ მოტანილი ტოტალური სიკვდილი, უბედურება, დამცირება, ღირსების შელახვა, სასოწარკვე-

თა უპირობოდ უნდა აციებდეს ადამიანთა სულებს. თუმცა ამის საპირისპიროდ ორი და – ვიანა და იზაბელი, ახლიდან აღმოაჩენენ ერთმანეთს და საკუთარი პოზიციებიდან, ერთი ფემინური როლიდან, მეორე მასკულინურიდან ყველაფერს აკეთებენ ადამიანების გადასარჩენად. „ადამიანები თითქოს მიდიან, მაგრამ მათზე წუხილი, – როგორც მწერალი ამბობს, – ჩვენს დნმ-ში ივანებს“და სამუდამოდ რჩება იქ ჩვენი არსების ნაწილად.

ოჯახზე ფიქრი და სხვათა სიცოცხლის გადარჩენა, სხვისი ტკივილის გაზიარება და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება, ფემინური მგრძნობელობის ფონზე იშლება. ორივე დის ქმედება თითქოს სცილდება ადამიანური შესაძლებლობების ზღვარს. ვიანას გენდერული როლი ფემინურია, მაგრამ როცა სიტუაცია მოითხოვს, მას შეუძლია გადალახოს გენდერული საზღვარი და ისეთი ქმედებები ჩაიდინოს, რომლებიც მამაკაცური ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. იზაბელი წარმოუდგენელ საქმეს სჩადის, მას ინგლისელი მფრინავები გერმანიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ალპების გზით სამშვიდობოს გადაჰყავს და მისი ზედმეტი სახელიც „ბულბული“ საგონებლად ქცევია მტერს. რადგან ვერც კი წარმოუდგენიათ და იზაბელის აღიარების დროს არც იჯერებენ, რომ სიფრიფანა 22 წლის გოგო შეიძლება იყოს ის ადამიანი, რომელსაც გაუსაძლის ყინვაში არაერთხელ გადაუყვანია მოკავშირეები ესპანეთში. „გენდერული ლინზების“ წყალობით, ასეთი გმირული საქციელი აღემატება ქალის ძალას, თვლიან, რომ ის მხოლოდ მამაკაცმა შეიძლება შეასრულოს.

რომანი რაღაც უჩვეულო სევდანარევი სითბოთია გაჯერებული, რადგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალი, რომელსაც სხეულსა და სულს ერთნაირად უბილწავენ, ერთგვარ ფემინურ შემწყნარებლობას იჩენს. საძულველი მტრისგან ჩასახულ ნაყოფს არ იშორებს და ახალ სიცოცხლეს აძლევს დასაბამს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის შედეგია, მაინც შვილია, თითქოსდა ის წამალია, რომელმაც ერთდროულად ომით მიყენებული ტკივილი უნდა აფიქსიროს ყოველდღიურად და ამასთანავე, მის დამაყუჩებელ მალამოდაც უნდა იქცეს.

ავღანელი მწერლის ჰალიდ ჰოსეინის რომანში „ათასი მოელვარე მზე“ ავღანეთის მოქალაქეთა გაუსაძლისი ცხოვრებაა აღწერილი. თალიბანის მმართველობა უკიდურესი სისასტიკით ეპყრობა ქალებს. მათთვის არ არსებობს არავითარი სამოქალაქო უფლება, მათ ქუჩაში ოჯახის წევრი მამაკაცის გარეშეც კი არ შეუძლიათ გასვლა. ამ რომანის

გმირებიც მარიამი და ლაილა ერთი ოჯახის წევრები, ერთი კაცის ცოლები არიან. ისინი განსხვავდებიან თავიანთი წარმომავლობით, აღზრდით, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი რამ, მაჰმადიანურ სამყაროში ისინი ბურკაში გამოკეტილი მამაკაცის სურვილების უსიტყოდ ამსრულებელი უსულო არსებები არიან, რომელთაც არაფრის უფლება აქვთ, გარდა იმისა, რომ მოუარონ ოჯახს, დააკმაყოფილონ მამაკაცის სურვილები. თუმცა ქალური სოლიდარობა, გამხეცებული ქმრისაგან თავის დახსნის სურვილი, ერთმანეთისადმი თანაგრძნობა მათ ერთმანეთის მოკავშირეებად აქცევს. მარიამი სწირავს საკუთარ სიცოცხლეს ლაილას გადასარჩენად.

სხვადასხვა კულტურულ არეალში მოღვაწე მწერალთა რომანებში ერთნაირი სიმძაფრით აისახება „გენდერული ლინზების“ მქონე საზოგადოებათა დამოკიდებულება ე.წ. სუსტი სქესისადმი. ქალებს ურთულეს პერიოდში უწევთ ცხოვრება. ტოტალიტარული რეჟიმები, ომები, მორალურ-ეთიკური ფასეულობების მსხვრევა უფრო მეტად ამძაფრებს ქალად ყოფნის სიმძიმესა და მათ სქესობრივ ჩაგვრას. თუმცა პოლიტიკურ-სოციალური თუ ეკონომიკურ-ეთიკური წნეხის შედეგად ისინი გარდაისახებიან მებრძოლ პიროვნებებად, რომელთაც ძალუძთ წინ აღუდგნენ სისასტიკეს, იარაღიც აიღონ ხელში და მკვლელობაც ჩაიდინონ, თავიანთი ქალური მომხიბვლელობა ურთულესი მისიის შესასრულებლად გამოიყენონ. მაგრამ მასკულინური შეხედულებების სამყაროში ისინი მაინც ინარჩუნებენ თავიანთ ქალურობას და ე.წ. „გამამლებულ“ ქალებად არ იქცევიან.

სამივე რომანის ავტორის პოზიცია ერთ აზრად ფოკუსირდება – ისინი ამსხვრევენ „გენდერულ ლინზებს“ და ცდილობენ ახალი რეალობა შექმნან, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ისტორიას მამაკაცების გარდა ქალებიც ქმნიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

აისლერი, რ. (2003). თასი და მახვილი, გენდერული თეორიების ანთოლოგია, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ბემი. ს. ლ. (2003). გენდერული ლინზები, გენდერული თეორიების ანთოლოგია, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ბიბლია (2013). დაბადება, ბიბლია, თბილისი: „პალიტრა L“.

კიკნაძე, ზ. (2020). შუამდინარული მითოლოგია, თბილისი: „iBooks“.

კიკნაძე, დონაძე 2006: თ. კიკნაძე, ნ.დონაძე, გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.

პოპიაშვილი, ნ. (2013). ქალი ავტორი, კულტუროლოგიური და გენდერული კვლევები, თბილისი.

ხარატიშვილი, ნ. (2019). მერვე სიცოცხლე (ბრილკას),თბილისი: „ინტელექტი“.

ჰანა, კ. (2017). ბულბული, თბილისი: „პალიტრა L“.

ჰოსეინი, ჰ. (2016). ათასი მოელვარე მზე, თბილისი: „არტანუჯი“.

Мифы Народов Мира (1991). Энц., т.I, М.

References:

Aisleri, R. (2003). Tasi da makhvili, genderuli teoriebis antologia. [Cup and Sword, Anthology of Gender Theories]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba.

Bemi, S. L. (2003). Genderuli linzebi, genderuli teoriebis antologia. [Gender Lenses, Anthology of Gender Theories]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba.

Biblia (2013). Dabadeba. Biblia. [Genesis, Bible]. Tbilisi: „p'alit'ra L“.

Hana, K'. (2017). Bulbuli. [Bulbuli]. Tbilisi: „p'alit'ra L“.

Hoseini, H. (2016). Atasi moelvare mze. [A thousand shining suns]. Tbilisi: „art'anuji“.

Kharat'ishvili, N. (2019). Merve sitsotskhle (brilk'as). [Eighth Life (Brilka)]. Tbilisi: „int'elekt'i“.

K'ik'nadze, Z. (2020). Shuamdinaruli mitologia. [Midstream mythology]. Tbilisi: „iBooks“.

K'ik'nadze, T., Donadze, N. (2006). Genderi – sotsialuri da p'olit'ik'uri sts'avlebani. [Gender – Social and Political Studies]. Sotsialur metsnierebata tsent'ri. Tbilisi.

Mify Narodov Mira (1991). Ents., t.I. [Myths of the Peoples of the World (1991). Enz., vol. I]. M.

P'op'iashvili, N. (2013). Kali avt'ori. K'ult'urologiuri da genderuli k'vlevebi. [Female author, cultural and gender studies]. Tbilisi.